სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას თორმეტი წლის ოთხ აპრილს მე, ნოტარიუს **ნანა ბაკურაძეს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №76, (პირველი სართული), მომმართეს **ვასილ ვერულაშვილმა, ნატალია დავითაშვილმა და დავით გიორგობიანმა**. მათ მოითხოვეს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ვასილ ვერულაშვილმა** (დაბ. 16.09.1978წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, ვ. დოლიძის ქუჩა კორპ. 25, ბინა 97, პ/მ №გ 0713586, პირადი №01026001014 გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ 05.07.2005წ.), **ნატალია დავითაშვილმა** (დაბ. 03.03.1977წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ, 75, კორპ. 10, ბინა №46, პ/მ №ა 1089859, პირადი №01024007626 გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ 11.09.2007წ.) და **დავით გიორგობიანმა** (დაბ. 15.10.1971წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №37, ბინა №18, პირადი №01023013687 გაც. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რ-ნის შსს მე-8 გან-ბის მიერ 24.09.2004წ.) მომმართეს. მე შევამოწმე **ვასილ ვერულაშვილის, ნატალია დავითაშვილის და დავით გიორგობიანის** ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ **ვასილ ვერულაშვილმა, ნატალია დავითაშვილმა და დავით გიორგობიანმა** ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავიანთი ხელმოწერები წინამდებარე მინდობილობაზე.

მინდობილობა

ჩვენ, **ვასილ ვერულაშვილი** (დაბ. 16.09.1978წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, ვ. დოლიძის ქუჩა კორპ. 25, ბინა 97, პ/მ №გ 0713586, პირადი №01026001014 გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ 05.07.2005წ.), **ნატალია დავითაშვილი** (დაბ. 03.03.1977წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ, 75, კორპ. 10, ბინა №46, პ/მ №ა 1089859, პირადი №01024007626 გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ 11.09.2007წ.) და **დავით გიორგობიანი** (დაბ. 15.10.1971წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №37, ბინა №18, პირადი №01023013687 გაც. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რ-ნის შსს მე-8 გან-ბის მიერ 24.09.2004წ.) **ვენდობით სოფიო გასვიანს** (დაბ. 07.06.1981წ. თბილისში რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, ს. ჭიაურელის ქუჩა №19, პ/მ №გ 0941540, პირადი №01031001348 გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ 07.07.2006წ.) იყოს ჩვენი წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურებში, გაწარმოოს ქალაქ თბილისი, კრწანისის ქუჩა №22-24 არსებულ ჩვენს კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე არქიტექტურულ პროექტირებასთან დაკავშირებული საქმიანობა, შეიტანოს ჩვენი სახელით განცხადებები, მიიღოს ყველა საჭირო ნებართვა და პროექტი, მათ შორის ელექტრონული ვერსია შესაბამისი დაწესებულებებიდან და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს რაც ამ დავალების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა გაცემულია სამი თვის ვადით და ძალაშია ორიათას თორმეტი წლის ოთხი ივლისის ჩათვლით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 30 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 5 ლარი და 40 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): — სულ გადახდილია 37 ლარი და 40 თეთრი.

ვასილ ვერულაშვილი _____

ნატალია დავითაშვილი _____

დავით გიორგობიანი _____

ნოტარიუსი _____ ნანა ბაკურაძე

NOTARY NANA BAKURADZE
GEORGIA, N. 01024030536

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

22248456002512

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120353441

რეგისტრაციის თარიღი

04.04.2012 წ

ნოტარიუსი: ნანა ბაკურაძე
მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
ტელეფონი: 33 18 67

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18